საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №71

2016 წლის 31 აგვისტო
ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ", „დ", „ე", „თ" და „ი" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2016 წლის 3 ოქტომბერს და დამთავრდეს 2016 წლის 20 იანვარს.

ბ) 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისა და წარმართვისათვის საჭირო სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის წარმოება ფაკულტეტებმა უზრუნველყონ 2016 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით;

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 2 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 23 იანვარიდან 11 თებერვლის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 13 თებერვლიდან 18 თებერვლის ჩათვლით;

თ) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2017 წლის 3 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით;
ი) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2017 წლის 10 ივლისიდან 15 ივლისის ჩათვლით;

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი მერაბ ხალვაში